„ვამტკიცებ“

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია

---

14 სექტემბერი 2026

2010-2011 წლებში დაბადებულ ვაჟთა

მასტერსი - საქართველოს ჩემპიონატი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

17-18 ოქტომბერი

2026

თბილისი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია.

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2010-2011 წელს დაბადებული ვაჟი ძიუდოისტები, რომლებიც წლის განმავლობაში ჩატარებული სარეიტინგო ტურნირების რეიტინგში წონით კატეგორიაში მოხვდნენ 16 საუკეთესოს შორის. რეიტინგი იხილეთ ფედერაციის ვებგვერდზე. რეიტინგში უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში დაუკავშირდით საორგანიზაციო კომიტეტს.
- რეიტინგი – მასტერსზე დაიშვებიან მწვანედ მონიშნული ძიუდოისტები.

IV. შეჯიბრების ჩატარების პირობები, დრო, ადგილი, კენჭისყრა.

- შეჯიბრება ჩატარდება 17-18 ოქტომბერს თბილისში ძიუდოს აკადემიაში, ბელიაშვილის 38.
- შეჯიბრებაზე ჩამოსვლის დღე 16 ოქტომბერი, წასვლის დღე 19 ოქტომბერი.
- შეჯიბრების დასაწყისი 10:00.
- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის შემდეგ.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის და საქართველოს ძიუდოს ფედერაციის მიერ შემუშავებული წესების მიხედვით. ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო).
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში 8 წონით კატეგორიაში:
- -50კგ, -55კგ, -60კგ, -66კგ, -73კგ, -81კგ, -90კგ, +90კგ;
- 17 ოქტომბერი: -50კგ, -55კგ, -60კგ, -66კგ,
- 18 ოქტომბერი: -73კგ, -81კგ, -90კგ, +90კგ;

VI. აწონვა

- აწონვები ჩატარდება თბილისში ძიუდოს აკადემიაში, ბელიაშვილის 38, წონითი კატეგორიების მიხედვით შეჯიბრების წინა დღეს 17:00 – 18:00 საათებში;
- მონაწილეები ვალდებულნი არიან აწონვის დროს წარმოადგინონ საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი ორიგინალი საბუთი - პირადობის მოწმობა ან პასპორტი.

VII. გამარჯვებულთა დაჯილდოება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

VIII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:
ტელეფონი/ფაქსი 0322516466;
საკონტაქტო პირი - ზურაბ უსუფაშვილი 577994407;
ფინანსური საკითხები - ანა წიწრიაშვილი 551502244.

PS.

- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის სავალდებულოა თეთრი და ლურჯი კიმანოს ქონა.
- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- აკრძალულია ძიუდოისტებისთვის წონის კლება წონით კატეგორიაში მოსახვედრად. ძიუდოისტმა შეიძლება დაიკლოს მაქსიმუმ 1 (ერთი) კილოგრამი. ძიუდოს ფედერაციის მხრიდან მკაცრად იქნება გაკონტროლებული მონაწილეთა წონები და შესაძლებელია კონტროლი შეჯიბრების მიმდინარეობის დროსაც. იმ მწვრთნელთა მიმართ, რომელთა ძიუდოისტებიც დაარღვევენ წონის კლების დებულებას, ფედერაცია გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს.

ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ნოზაძე